



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის №047/13¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

სტუდენტი - თინათინ ჯაჯანიძე

ფაქტები:

კლიენტსა და ადვოკატს შორის გაფორმდა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება. კლიენტის განმარტებით, მან ვერ მიიღო ადვოკატისაგან კვალიფიციური მომსახურება. ადვოკატი მას ზეპირი ხელშეკრულების საფუძველზე უწევდა მომსახურებას ალიმენტის საქმეზე, თუმცა, მათ შორის შეთანხმების თანახმად, ადვოკატს კლიენტის უფლებების დასაცავად სასამართლოში სარჩელი უნდა შეეტანა და წარმომადგენლობა განეხორციელებინა მისთვის სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნასთან დაკავშირებით. კლიენტმა შეიტანა საჩივარი ადვოკატის მიმართ ეთიკის კომისიაში. კლიენტის წარმომადგენლის განმარტებით, ადვოკატმა ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი ახსნა-განმარტებით დამატებით დაარღვია უდანაშუალობის პრეზუმფცია და მისი უფლებები, როდესაც კლიენტის წარმომადგენელი მოიხსენია თაღლითად. კლიენტის წარმომადგენლის განმარტებით, ასევე, არასწორია ადვოკატის მითითება, რომ იგი კლიენტის წარმომადგენელს იცნობდა 10-12 წლის წინ და იგი საჩივრის ავტორს გარკვეული თანხის სანაცვლოდ გაზეთში უბეჭდავდა სტატიებს.

პროცესუალური ისტორია:

კომისიას საჩივრით მომართა კლიენტმა და კლიენტის წარმომადგენელმა და მოითხოვა ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება გაწეული არაკვალიფიციური მომსახურების გამო. საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღმდრის თაობაზე ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(გ), და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 9.1 მუხლების დარღვევის ფაქტებზე.

სამართლებრივი შეფასება:

ადვოკატი უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს, ქცევის მაღალი სტანდარტი მოეთხოვება, განსხვავებით სხვა პირებისაგან. აღნიშნული სიტყვებით მიმართვა საჩივრის ავტორის წარმომადგენლის, როგორც პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის მიმართ, ადვოკატის მხრიდან უპატივცემულობის გამოხატვასა და ადვოკატის მიერ პროცესის მონაწილე პირის უფლებების შელახვას წარმოადგენს. ეთიკის კომისიას მიზანწეუწონლად მიაჩნია ადვოკატის მიერ პირის მოხსენიება შეურაცხყოფელი ეპითეტებით. ამ შემთხვევაში გადაწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება იმ ფაქტს, ადვოკატი საჩივრის წარმოდგენამდე იცნობდა თუ არა საჩივრის ავტორის წარმომადგენელს, ვინაიდან ყველა შემთხვევაში, ადვოკატის ეთიკურ ვალდებულებას წარმოადგენს პროფესიული ღირსების შენარჩუნება და სუბიექტური მოსაზრებების არაკორექტულად წარმოდგენისაგან თავის შეკავება. განხილვის კოლეგია მიუთითებს, რომ ეთიკის კომისიაში მიმდინარე საქმისწარმოებისას პროცესის მონაწილე მხარის შეურაცხყოფა შეიძლება ასევე შეფასდეს, როგორც ეთიკის კომისიის შეურაცხყოფა, ისევე, როგორც სასამართლოში შეუფერებელი ქცევა და მხარის შეურაცხყოფა მიიჩნევა სასამართლოს შეურაცხყოფად.

დასკვნა:

ეთიკის კომისიამ დაადგინა ადვოკატის მხრიდან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(გ) და აპეკ-ის 9.1 მუხლების დარღვევა. ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვრა დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

¹ <https://gba.ge/pdf/5c4720069b0e2.pdf/5c4720069b0e2.pdf>